



# ნაგავუმეკრები კონტეინერები ლოზუნგებით: „ნუ დაყრი ნარჩენს!“ „ღარგე ხეები!“



ქუთაისში ახალი ნაგავმეკრები კონტეინერები გამოჩნდა, რომელზეც ვაკრული ფერადი სტიკერები მოქალაქეებს გარემოს დაცვისა და ამ კუთხით მალალი სამოქალაქო

აქტივობისკენ მოუწოდებს. „ნუ დაყრი ნარჩენს!“, „ღარგე ხეები!“ — ასეთ ლოზუნგებიანი ფერადი სტიკერებით ქალაქის დასუფთავების სამსახური (სპეცი-

ალური სერვისები) ცდილობს, რომ ქუთაისელებიც აიყოლიოს ქალაქის სისუფთავეზე ზრუნვა. კომპანია ამჟამად ქალაქში განთავსებულ ნაგვის ყუთებს

რეცხავს და დეზინფექციას უტარებს და ამავე დროს, აქტიურად მიმდინარეობს ახალი კონტეინერების განთავსების სამუშაოებიც.

# მინის რეგისტრაცია მარტივდება

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. კანონპროექტების ავტორია იუსტიციის სამინისტრო. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რასაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ინიციატივის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება: იხსნება ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდება. სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მიწის რეგისტრაციის

კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების 25%-მდეა რეგისტრირებული, რაც ძალიან ცოტაა. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა. პროექტზე მუშაობისას გამოვლინდა მიწის მარტივი რეგისტრაციისთვის ხელისშემშლელი

პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად მომზადდა სპეციალური საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ: **შემუშავდება საამზომელო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული ამზომელები სერტიფიკაციას გაივლიან.**

გაგრძელება მე-2 გვერდზე

### 5 სანარმომი სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები დაინერგება

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსა და USAID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს (REAP) შორის ტექნიკური დანბარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის საფუძველზე საქართველოში დაგეგმილია 3 თხილის და 2 ხილის გადამამუშავებელ საწარმოში დინერგოს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტი, კერძოდ — ISO 22000.

13 მაისს გაფორმდა ოთხმხრივი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და დონორი ორგანიზაცია უზრუნველყოფენ სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების დანერგვის ღირებულების 80%-ს თანადაფინანსებას.

დახმარება ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ბენეფიციარ საწარმოებში სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების ISO 22000:2005 დანერგვას; ასევე, საწარმოებისთვის საკონსულტაციო ტრენინგების ჩატარებას.

შეთანხმების მიზანია გადამამუშავებელი საწარმოების პოტენციულის გაძლიერება და წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოები არამარტო ფინანსურ დახმარებას ღებულობენ საწარმოო ინფრასტრუქტურის გამართვისთვის, არამედ დამატებით ტექნიკურ მხარდაჭერასაც, რომელიც გულისხმობს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ქართულ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და ახალი ბაზრების მოძიებას.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2014 წლიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 12 ახალი საწარმო. სახელმწიფომ გრანტის სახით უკვე გაიღო 3 310 518 ლოლარი, ასევე, დამატებით განახორციელა ბენეფიციარი კომპანიების მიერ აღებული შეღავათიანი აგროკრედიტების — ჯამური ღირებულებით 3 839 482 ლოლარი — საპროცენტო ხარჯის წლიური 11% -ის თანადაფინანსება.

Silk Up მობილური აპლიკაციის სილქნეტისგან



Available on the App Store  
Available on the Google play



სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგი

განათლების სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგი დამტკიცდა. მე-12 კლასელები საატესტატო გამოცდებს შემდეგი განრიგის თანახმად ჩაბარდებიან:

21 მაისი — ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული, როგორც მეორე ენა, გეოგრაფია

22 მაისი — უცხოური ენები; ბიოლოგია

23 მაისი — ისტორია; ფიზიკა

24 მაისი — მათემატიკა

25 მაისი — ქიმია

რაც შეეხება პრეტესტს, გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 20 მაისს ჩატარდება.

მერაბ ჟორდანიას ქუთაისის „ტორპედო“-ში ინვესტიციის ჩადებას გეგმავს

მერაბ ჟორდანიას Sportall.ge-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, შესაძლოა, მან ქუთაისის „ტორპედო“ შეიძინოს. განცხადებას უცვლელად გადავზოგბთ:

„მეგობრებო, მოგესალმებით! ვადასტურებ, რომ საფეხბურთო კლუბს ქუთაისის „ტორპედოში“ შექმნილი მიმდებარე სიტუაციის შემდეგ მქონდა საქმიანი საუბრები კლუბის მესვერებთან და მზად ვარ, ჩემს მეგობრებს, ვინც დღეს ქუთაისის „ტორპედოში“ ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, მაქსიმალურად დაეხმარო.“

ქუთაისის „ტორპედო“ — ეს ის გუნდია, რომლის მასშტაბითაც მე არაერთი შეხვედრა მაქვს ჩატარებული და ვერ კიდევ ვარაუდობ განაცხადს, რომ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის შევეცდები, ამ გუნდისთვის მაქსიმალური დახმარება გაქმნილიყოს.

აქვე ვადასტურებ, რომ დახმარების წინადადებით მე ჩემი მშობლიური გუნდის, ლანჩხუთის „გურის“ წარმომადგენლებმაც მომმართეს.

ვიმეორებ, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მზად ვარ, ვყოფ ქართული ფეხბურთის მხარდამჭერი, — ნათქვამია განცხადებაში.

მინის რეგისტრაცია მარტივდება

პირველი გვერდიდან

დღესდღეობით აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. ე. წ. გადაფარვების არსებობის გამო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრის 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემის მოგვარება კი დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და რესურსის ხარჯვას ნიშნავს.

ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა — აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკანონმდებლო ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცვლილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს.

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად ამზომველების საქმიანობა სერტიფიცირებას დაექვემდებარება და იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი. საამზომველო საქმიანობისათვის დადგინდება მომსახურების საფასური (ნიხრები). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს შეეძლება, ადგილზე გადაამოწმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ საკანონმდებლო ნახაზზე დატანილი მონაცემების სისწორე. სერტიფიცირებულ ამზომველთა ქსელი სამ თვეში შეიქმნება, ხოლო სერტიფიცირება შეეხება იმ ამზომველებს, ვინც პროექტში მიიღებს მონაწილეობას. ინიციატივის შედეგად უფრო მეტად იქნება დაცული როგორც მიწის მესაკუთრების, ისე ამზომველების უფლებები. სერტიფიცირებულ ამზომველს ეცოდინება, როგორ აზომოს საკუთრება ცვლილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს „გადაფარვების“ და საკუთრებაზე სასამართლო დავის წარმოშობის რისკს: კვალიფიციური ამზომველის საქმიანობა კი მოთხოვნადი გახდება, ამასთან: მთავრობა შეიმუშავებს მიწის



გარკვეული ფართობის აზომვის საფასურის დაფინანსებისათვის შესაბამისი მექანიზმს.

სახელმწიფო მოქალაქის დაეხმარება საკუთრების მადასტურებელი საბუთების მოძიებაში

დღესდღეობით მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწზე მის საკუთრებას დადასტურებს. დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში კი, საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა — ხვდავარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომელთა საფუძველზე

ზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია.

ცვლილებების თანახმად ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი — მფლობელის სახელის გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში, არასწორი დაწერილობა და სხვა — აღარ ვახდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი, თუკი პიროვნების სხვა მიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა.შ.) ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისათვის.

გარდა ამისა, მოხდება ხარვეზიანი დოკუმენტაციის ლეგალიზაცია, გამოყენებულ იქნება ფაქტების კონსტატაცია. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ ითანამშრომლებენ საკუთრების დადგენის ნაწილში, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით იქნება მხარდაჭერილი.

სახელმწიფო მესაკუთრებს დაეხმარება მოგვარებაში დაეხმარება

მიწის რეფორმის ფარგლებში შემოთავაზებული ცვლილებების შედეგად, სახელმწიფო მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს შესთავაზებს. მედიატორების, მათ შორის, სანოტარო მედიაციის, მეშვეობით სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მართვად — სასამართლო დავის გარეშე მოგვარებაში დაეხმარება. დავის შემთხვევაში, მოქალაქეს ექნება არჩევანი — ისარგებლოს მედიაციით, თუ მიმართოს სასამართლოს და იქ დაიცავს საკუთრების უფლებას.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები? დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია: უსასყიდლოდ შესრულება, მიწის რეგისტრაცია ან ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილება საჯარო რეესტრის მომსახურების საფასურის გარეშე განხორციელდება.

„გაუგუნი შეზინდებისას სასაიხროდ არ გაიყვანო“

პაატა იმნაძის რეკომენდაციები სეზონურ დაავადებებთან დაკავშირებით

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ზაფხულის მოახლოებიდან გამომდინარე მოსახლეობას რეკომენდაციებით მიმართავს.

პაატა იმნაძემ პრესკონფერენციაზე სეზონურ ინფექციებზე და ზაფხულთან დაკავშირებულ სხვა საფრთხეებზე ისაუბრა.

მისი თქმით, დასრულდა ზამთრის სეზონის ვირუსები და დაიწყება ზაფხულის სეზონის დაავადებები. პაატა იმნაძემ ლეიშმანიოზსა და მალარიაზე ვაამახვილა ყურადღება, თუმცა აღნიშნა, რომ საზედნიეროდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მალარიის ადგილობრივი შემთხვევები არ ვლინდება. რაც შეეხება ლეიშმანიოზს, პაატა იმნაძის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ლეიშმანიოზის რამდენიმე ათეული შემთხვევა ვლინდება.

ლეიშმანიოზის გამომწვევი მწერი შეზინდებისას დაფრინავს, შესაბამისად, პაატა იმნაძე მშობლებს ურჩევს, წლამდე ასაკის ბავშვები შეზინდებისას სასაიხროდ არ გაიყვანონ. წლის შემთხვევებს კი მწერების დამაფრთხილებელი საშუალება წაუსვან და ღია დაუცველი კანი არ გაასეირნონ. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია ფანჯრებზე მწერებისგან დაცვის მიზნით დაეხმარება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის ცნობით, ლეიშმანიოზზე ნაკბენის შემჩნევა შეუძლებელია. მისი თქმით, კბენის სეზონი ივნისის მეორე ნახევრიდან იწყება. გამოვლენა კი შემოდგომის ბოლოს ხდება. პაატა იმნაძე ასევე ძალღების პატრონებს ურჩევს, ვეტერინარებთან გამოიკვლიონ, აქვთ თუ არა მათ ძალღებს ლეიშმანიოზი. რაც შეეხება კოლეგებს, პაატა იმნაძის ინფორმაციით, საქართველოს შავი ზღვისპირეთში ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ფართომასშტაბიან სადზინსექციო სამუშაოებს გეგმვენ. პაატა იმნაძე არ ელოდება ზიკას, დენგეს და ჩიკუნგუნის ინფექციების გავრცელებას. რაც შეეხება ზაფხულთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საფრთხეს, ბოტულიზმს, პაატა იმნაძე ბოტულიზმის საფრთხიდან გამომდინარე, მოსახლეობას ურჩევს, ნუ დაამზადებენ

მენდაცია ფანჯრებზე მწერებისგან დაცვის მიზნით დაეხმარება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის ცნობით, ლეიშმანიოზზე ნაკბენის შემჩნევა შეუძლებელია. მისი თქმით, კბენის სეზონი ივნისის მეორე ნახევრიდან იწყება. გამოვლენა კი შემოდგომის ბოლოს ხდება.

პაატა იმნაძე ასევე ძალღების პატრონებს ურჩევს, ვეტერინარებთან გამოიკვლიონ, აქვთ თუ არა მათ ძალღებს ლეიშმანიოზი.

რაც შეეხება კოლეგებს, პაატა იმნაძის ინფორმაციით, საქართველოს შავი ზღვისპირეთში ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ფართომასშტაბიან სადზინსექციო სამუშაოებს გეგმვენ. პაატა იმნაძე არ ელოდება ზიკას, დენგეს და ჩიკუნგუნის ინფექციების გავრცელებას.

რაც შეეხება ზაფხულთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საფრთხეს, ბოტულიზმს, პაატა იმნაძე ბოტულიზმის საფრთხიდან გამომდინარე, მოსახლეობას ურჩევს, ნუ დაამზადებენ



პაატა იმნაძე

ისეთი პროდუქტების კონსერვს, რისი თერმულად დამუშავებაც გახსნის შემდეგ აღარ შეიძლება.

ბუნებაში ხშირად გავსვლიდან გამომდინარე კი, პაატა იმნაძე მოსახლეობას ახსენებს, რომ, თუკი წყარო ვიზუალურად სუფთაა, ეს არ ნიშნავს, რომ წყარო არ შეიძლება ბაქტერიებით დაზინდებული არ იყოს. მან მოსახლეობას ბუნებაში წყლის ბოთლის გამოყენებისკენ, ან გადაღებული წყლის დაღვინებისკენ მოუწოდა.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელსაც დაავადებათა კონტროლის სამეცნიერო ხელმძღვანელი მოსახლეობას აძლევს, მალფუჭებულ პროდუქტებს უკავშირდება. პაატა იმნაძე მოქალაქეებს ურჩევს, მალფუჭებული პროდუქტები მაცივარში შეინახონ. სამზარეულოს დაფები უმი და თერმულად დამუშავებული პროდუქტებისთვის ცალკე იქონიონ და ქუჩაში ასფალტზე დაგდებული საკვები პროდუქტი არ შეიძინონ.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
დირექტორი: ირმა ბახუტაშვილი
ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსოციალიზმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401
გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უკ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86
მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
• psnews27@gmail.com
• www.psnews.ge

# სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისები სოფლიდან გაუსვლელად

დრო, როგორც რესურსი, ყოველთვის განსაკუთრებული იყო ადამიანისთვის. მისი ეკონომიური და ეფექტური გამოყენება ბოლო პერიოდში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. დროის გონივრული მენეჯმენტში ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოება-მიღება და საჭიროებისამებრ გადაგზავნა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნიუანსია.

ზემო იმერეთში საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი კორბოული ხალხმრავლობით გამოირჩევა (2012 წლის აღწერის მიხედვით სოფელში 3 600 კაცზე მეტი ცხოვრობს). ამის გარდა, მას საკვანძო დანიშნულება აქვს ხარაგაულ-ხაშურის მიმდებარედ არსებული საჩხერის და ჭიათურის სოფლებისათვის. სატრანსპორტო არტერია, რომელიც გადის კორბოულზე, წარმოადგენს შიდა ქართლის დასავლეთის ნაწილის ყველაზე ეფექტურ მონაკვეთს გომიდან ზესტაფონი-ჭიათურისა და საჩხერის მიმართულებით.

თავად კორბოული უძველესი პერიოდიდან მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, აბრეშუქის გზის ერთი განშტოება ამ სოფელზე გადიოდა და „უღვევად“ წოდებულ მონაკვეთის აღმოსავლეთ უკიდურეს წერტილს წარმოადგენდა (ე.წ. „უღვევი“ სრულდება შორაპანში, საიდანაც მსუბუქი ნაგებობები უნდა გაეტანათ საქონელი დასავლეთ ევროპელ ვაჭრებს შავი ზღვის პირეთამდე).

საგულისხმოა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა ყველა იმ წინაპირობის გამო გადაწყვიტა, რაც გააჩნია სოფელ კორბოულს.

ამჟამად ცენტრის საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით შეუძლია მომხმარებელს სარგებლობა. დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთისმიღებისათვის, ქონების რეგისტრაციისა და საბანკო მომსახურებით სარგებლობისათვის, ადგილობრივ მცხოვრებთ მუნიციპალურ ცენტრში წასვლა აღარ უწყევთ. უახლესი ტექნიკით აღჭურვილ თანამედროვე არქიტექტურული ტიპის შენობაში კორბოულის მცხოვრებთ ადგილობრივი კადრები ემსახურებიან. საზოგადოებრივი ცენტრში შესაძლოა უფასო ინტერნეტით სარგებლობა, მომხმარებლისათვის მზად არის კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. ცენტრში ხელმისაწვდომია თანამედროვე ციფრული ბიბლიოთეკაც.

აღსანიშნავია, რომ სოფელ კორბოულსა და იქვე მდებარე სოფლებში (შომახეთი, ნიგვზარა, ხვანი, ჭალოვანი) მცხოვრებთ, საჭიროებისამებრ, შეუძლიათ მიიღონ ის სერვისი, რაც მანამდე მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში იყო მათთვის ხელმისაწვდომი.

როგორც იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, საზოგადოებრივი ცენტრების საკონფერენციო ოთახი ხელმისაწვდომია ცენტრალური და ადგილობრივი

ხელისუფლების, აგრეთვე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის. მათ საშუალება მიეცემათ, კომფორტულ გარემოში შეხვდნენ მოსახლეობას, მიაწოდონ ინფორმაცია, იმსჯელონ აქტუალურ საკითხებზე, დაეგვიანონ და ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება. ცენტრში განთავსებულია გამგებლის წარმომადგენლის ოფისიც.

ზოგადად, საზოგადოებრივი ცენტრების მიზანი სოფლის მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა. მისი კონცეფცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეიქმნა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება საქართველოს მასშტაბით.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მალხაზ ბაზაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს: „კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი ემსახურება როგორც საჩხერის, ასევე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებს, ამ ცენტრის არსებობა მნიშვნე-



ლოვანია შომახეთის, ნიგვზარის, კორბოულის, გორისის, ხვანის, ჭალოვანის, ლიჩის, მოძვის, ბერეთისის, ჯალაურთისა და მანდაეთის მოსახლეობისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ცენტრით სარგებლობა შეუძლია ასევე ნებისმიერ მოქალაქეს. საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში ფუნქციონირებს ელექტრონული ბიბლიოთეკა, სკაიპის ოთახი, მოსახლეობას ემსახურება „ლიბერთი ბანკის“ და „მაგის“ ოპერატორი,

გამგებლის წარმომადგენლობა კორბოულის ადმინისტრაციულ ერთეულში.“

ჩვენ დავინტერესდით ადგილობრივი მკვიდრების აზრითაც, რომლებმაც პოზიტიურ მხარეზე გააკეთეს აქცენტი.

**ოთარი მაჭარაშვილი** (პენსიონერი): „აღრე პენსიის აღების გარდა, არაფერი ხერხდებოდა ჩვენს სოფელში. ხანდახან ვივლები მირიცხავენ ხოლმე

თანხას და აქვე ადგილზე აღება შემძლეა. კიდევ ამბობენ, რომ საჩხერეში რა დოკუმენტაციის მიღება არის შესაძლებელი, ყველაფერს აქაც დაგიშვებენო. ამას რა სჯობს, როცა მთელი დღე არ გაგიცდებია საჩხერის მოვლაში, თანხასაც დაუზოგავთ და დროსაც. თან დიდ მანძილზე მგზავრობა უკვე მიჭირს. ეს ახლოსაა და როცა მიწადა, მაშინვე შემძლეა მოვიდე.“

**გოგა გოგატიშვილი** (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი): „მართალია, მე ხშირად მიწვევს საჩხერეში ჩასვლა, სადაც მაქვს ჩემი ორგანიზაციის ოფისი, მაგრამ ბევრისგან გამოვიგა სოფელში, რომ საზოგადოებრივი ცენტრის სერვისებით ისარგებლეს. ზოგს პირადობის მოწმობა აქვს შესაცვლელი, ზოგსაც — ქორწინების მოწმობა აქვს ასაღები. ალბათ, ახალგაზრდები ინტერნეტისა და ელექტრონული ბიბლიოთეკისთვისაც შეივლიან იქ. კარგია, როცა სოფელში მუშაობს რაღაც ორგანიზაცია და მას აქვს თითქმის ყოველდღიური გამოყენება!“

**ჯაბა ნოზაძე** (ჭიათურის მუნიციპალიტეტის მცხოვრები): „ჩემი სოფელი კორბოულს ესახლავს. ჩვენებურები ხშირად კორბოულის ბაზარზე სავაჭროდ გამოდიან, თუ რამე დოკუმენტაცია სჭირდებათ, საზოგადოებრივი ცენტრში აიღებენ. თან ჭიათურაში რიგში დიდხანს უწყევთ ხალხს დგომა, აქ ბევრად უფრო ცოტა ადამიანი მოდის და უსაშველოდ დროც აღარ იკარგება.“

საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამჟამად საქართველოს მასშტაბით 33 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს, წლის ბოლომდე კი ეს რიცხვი 40-მდე გაიზარდება.

როლანდ ხოჯანაშვილი



# ქართული სახალაო „პანამის ღოკუენტაუპი“

ე. წ. „პანამის ღოკუენტაუპი“ მოხსენებულ 200 000-ზე მეტ ოფშორულ ანგარიშთან ერთად 85 ქართველის კავშირი იკვთება — ასეთია გამოძიებულ ქურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის მიერ მომზადებული გამოძიების ახალი მონაცემები. გამოძიების შედეგების მეორე ნაწილის პრეზენტაცია თბილისში 9 მაისს „ფრონტლაინ კლუბში“ გაიმართა.

როგორც პროექტი „ორგანიზებული კრიმინალი და კორუფციის კვლევის“ წარმომადგენლებმა, ქურნალისტებმა ნინო ბაქრაძემ და დევი ბლოსმა განაცხადეს, 85 დასახელებული ქართველიდან ნაწილი ოფშორებში რეგისტრირებული კომპანიების წილის მფლობელია, ნაწილიც — მფლობელთა წარმომადგენელი. გამოძიების ავტორების თქმით ოფშორულ ზონაში კომპანიების დარეგისტრირების ძირითადი მიზანი, როგორც წესი, გადასახადებისთვის ავისარდებება.

**არჩილ კბილაშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ზაზა ოქუაშვილი, კობა ნაყოფია, დავით იაკობაშვილი და სხვა ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ბიზნესმენები და იურისტები** — სულ 85 ქართველი, რომელთა სიაც, „პანამის ღოკუენტაუპის“ გამოძიების ფარგლებში, გამოძიებულმა ქურნალისტებმა დევი ბლოსმა და ნინო ბაქრაძემ 9 მაისს გამოაქვეყნეს.

სიასთან ერთად მითითებულია მათი პირადი ნომრები და ის კომპანიები, რომლებთანაც დაკავშირებულია მათი საქმიანობა. როგორც ნინო ბაქრაძე გვიხსნის, გამოძიებულ ქურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა შექმნილი ბაზა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას ქვეყნისა თუ კომპანიის მიხედვით მოძებნოს ესა თუ ის პირი და თვალი მიადევნოს მის საქმიანობას, ხოლო ოფშორულ ზონებთან დაკავშირებული ქართველების რაოდენობა, სულ 85 ადამიანი, ნინო ბაქრაძის თქმით, მის ხელთ არსებული დამატებითი დოკუმენტების საფუძველზე დათვალეს. დოკუმენტების ეს ნაწილი

გამოძიებაში ჩართულმა ქართულმა მხარემ დაამუშავა.

თუ გამოძიებულ ქურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის ვებსაიტზე შეხვალთ და „პანამის ღოკუენტაუპის“ გაცნობას გადაწყვეტთ, პირველივე წარწერა გამცნობთ და გაფრთხილებთ: კონსორციუმში არ ამტკიცებს, რომ დოკუმენტებში მოხსენიებული და ოფშორულ ზონებთან დაკავშირებული რომელიმე პიროვნება თუ კომპანია კანონს არღვევს. იქვე მითითებულია, რომ ზოგიერთი სახელი და გვარი დოკუმენტებში რამდენჯერმე მეორდება. ქურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმში მომხმარებელს ურჩევს, გადაამოწმოს ყველა ინდივიდი მისი მისამართისა თუ პირადი ნომრის მიხედვით.

როგორც გამოძიებულმა ქურნალისტმა დევი ბლოსმა აღნიშნა რადიო თავისუფლებასთან საუბარში, ეს არის ერთგვარი გზამკვლევი რეპორტიორებისათვის, რომლებსაც კონკრეტულ პირზე ინფორმაციის მოძიება, გამოძიების დაწყება სურს.

„ეს არის სია სახელებისა და კომპანიებისა, მონაცემთა ბაზა, რომელიც დაინტერესებულ ადამიანებს ინფორმაციის მოპოვებაში დაეხმარება — ამ სით უკვე არსებობს ლინკები, რომლითაც სასურველი ინფორმაცია შეიძლება მოძებნოს. პირდაპირ ზედპირზე დევს კონკრეტული სახელები და მათი საქმიანობა, თუ სად იყო მათი კომპანია დარეგისტრირებული და რა საქმიანობას ეწეოდა. ეს მონაცემთა ბაზა არის ერთგვარი საწყისი წერტილი რეპორტიორებისათვის, რის შემდეგაც შეგიძლიათ უკვე სხვა ადამი-

ანებს შეხვდეთ და დაუსვათ კითხვები“.

დევი ბლოსის თქმით, გამოქვეყნებული მასალა ადასტურებს, რომ ადამიანების უმრავლესობა ოფშორულ კომპანიებში ქონებას ერთი მიზნით არეგისტრირებდა — თავი აერიდებინათ მათ ქვეყანაში არსებული მაღალი გადასახადებისათვის. მისი თქმით, არაერთი ადამიანი, რომელიც დღეს პოლიტიკაში მოღვაწეობს ან მომავალში გადაწყვეტს პოლიტიკოსობასა თუ ბიზნესსაქმიანობას, შესაძლოა ამ სიაში აღმოჩნდეს, რაც ნიშნავს, რომ მედიას აქვს უნიკალური შანსი გადაამოწმოს ამ მხრივ მათი წარსული და თავად გააკეთოს დასკვნა.

ნინო ბაქრაძეს ვკითხეთ, ნიშნავს თუ არა ამ სიაში კონკრეტული ადამიანების სახელების მოხვედრა იმას, რომ ისინი ავტომატურად დამნაშავეები არიან, რაზეც მან გვიპასუხა, რომ ეს ასე არ არის, თუმცა კითხვის ნიშნები მაინც ჩნდება.

„ამ მონაცემთა ბაზაში ვეცადეთ მაქსიმალურად ყველა ქართველის სახელი და გვარი ჩამოგვეყრა, ვინც კი „პანამის ღოკუენტაუპი“ ფიგურირებს, მაგრამ, ცხადია, ვერ ვიტყვით იმას, რომ ყველა მათგანი დანაშაულს სჩადის, რადგან თავისთავად ოფშორში კომპანიის დარეგისტრირება დანაშაული არ არის. თუმცა ბიზნესმენები ამას თავდაც აღნიშნავენ და ბიძინ ივანიშვილსაც აქვს ნათქვამი, რომ ოფშორში კომპანიის დარეგისტრირება გარკვეული გადასახადებისგან თავის არიდების საშუალებაა“.

ნინო ბაქრაძეს მოჰყავს ერთი მაგალითი, როდესაც ერთ-ერთი ქართველი მაღალი თანამდებობის პირი იურიდიულ ფირმა „მოსაკ ფონსეკას“ სწერს, რომ მას სურს კომპანიის დარეგისტრირება ოფშორში, რადგან საქართველოში არის საკმაოდ მაღალი გადასახადები. ნინო გვეუბნება, რომ გამოქვეყნებული მასალა არა მხოლოდ



დევი ბლოსი და ნინო ბაქრაძე

მედიისათვის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ან, თუნდაც, გამოძიების დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლოა, იქცეს საინტერესო საფუძველად შემდგომი მოკვლევისათვის.

რადიო თავისუფლება დაინტერესდა, გარდა მედიის და არასამთავრობო სექტორისა, ვისთვის შეიძლება იყოს ეს მონაცემთა ბაზა საინტერესო და, საერთოდ, რას ამბობს ასეთ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა. როგორც ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელმა ერეკლე ურუშაძემ გვითხრა, თავისთავად ოფშორულ ზონასთან კავშირი დანაშაულად ვერ შეფასდება, საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს აუკრძალავდა რომელიმე ოფშორულ იურისდიქციაში აქტივის ფლობას და ამ მიზეზით ვერც გამოძიება დაიწყება ვინმეს მიმართ.

„ოფშორული იურისდიქცია შეიძლება გამოყენებული იყოს აბსოლუტურად კანონიერი საქმიანობის-

თვის, თუმცა იმის გამო, რომ ეს ოფშორული ზონები გამოიყენება ხშირად ინფორმაციის დასამალად ან ანგარიშვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად, ეჭვიც ამიტომ ჩნდება ხოლმე — განსაკუთრებით, თუ საქმე პოლიტიკოსებს ეხება“.

ერეკლე ურუშაძე განმარტავს, რომ თუ რომელიმე მოქმედ ან ყოფილ პოლიტიკოსს აღმოაჩნდება მსგავსი აქტივი რომელიმე ოფშორულ ზონაში, კითხვაც მაშინ ჩნდება — ხომ არ იყო იქ დარეგისტრირებული კომპანია გამოყენებული ამ პოლიტიკოსის უკანონო შემოსავლის დასამალად. ეს მასალა, შესაძლოა, გახდეს საინტერესო დასაწყისი ქურნალისტური გამოძიებისთვის, ამბობს ერეკლე ურუშაძე, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული სახელების ამოტივტივება ოფშორულ ზონებში გამოძიების წინაპირობა ვერ იქნება.

ეკა ქვეანიშვილი რადიო „თავისუფლება“

## აქვე გთავაზობთ იმ ქართველთა სიას, რომლებიც „პანამის ღოკუენტაუპი“ არიან დაფიქსირებულნი

- \* Power of Attorney (POA) — ეწოდება პირს, რომელიც წარმოადგენს კომპანიას სხვადასხვა იურიდიული საკითხების მოგვარების ან პირს, რომელსაც კომპანიის მფლობელი აძლევს იურიდიული ძალის მქონე მინდობილობას.
- 1. ივანე ნაკაიძე (01030003964) — SOBBIA HOLDINGS CORPORATION (წილის მფლობელი); AXTON OVERSEAS DEVELOPMENT LTD. (POA)
- 2. ნუგ ზარ ექვთიშვილი (01001002694) — Rominvest Trading Corp (POA), Dorwin Investments Inc (POA), Finley Trading (POA), FRYSIAN ENGINEERING S.A. (POA)
- 3. ალექსანდრე გოგობია (01017001266) — HOZDEL MANAGEMENT LTD. (წილის მფლობელი), Mission Investments Limited (დირექტორი), AXTON OVERSEAS DEVELOPMENT LTD. (POA), Grassdale Real Estates Corp. (წილის მფლობელი)
- 4. გივი აკობაშვილი (59001007713) — Harrington Development Inc. (POA)
- 5. არჩილ კბილაშვილი (09001000978) — Harrington Development Inc. (POA)
- 6. დავით ასათიანი (60002015846) — Harrington Development Inc. (POA)
- 7. ირაკლი კანდაშვილი (01024033307) — Harrington Development Inc. (POA)
- 8. დავით ფანჭულაშვილი (59001014727) — Nowall Investments S.A. (POA)
- 9. პაატა ჩხევიძე (59001005137) — Rominvest Trading Corp (POA)
- 10. დიმიტრი ჩიქოვანი (01007013229) — LEXOR CAPITAL CORP. (POA), ADPROJECTS INC. (საბჭოს წევრი)
- 11. გიორგი კრაველიძე (03001002366) — LEXOR CAPITAL CORP. (POA)
- 12. ზაზა ოქუაშვილი (01024004133) — Finley Trading (წილის მფლობელი), DAGMAR FINANCE GROUP INC. (მფლობელი), Velsan Trading Corp. (წილის მფლობელი)
- 13. მიხეილ იაშვილი (01024002770) — International Fuel Service Corp. (წილის მფლობელი)
- 14. ირაკლი იაშვილი (01008000365) — International Fuel Service Corp. (წილის მფლობელი)
- 15. გიორგი კახანაძე (53001000014)

- GRENCORD CORP. (წილის მფლობელი), International Fuel Service Corp. (წილის მფლობელი)
- 16. პაატა ვადაშვილი (01025007112) — International Fuel Service Corp. (მფლობელი)
- 17. არჩილ ხელაშვილი (01024006131) — Petrocas Energy Limited (POA), International Fuel Service Corp. (მფლობელი)
- 18. დავით კვებარაძე (01015000210) — Arkenstone Management Limited, SOBBIA HOLDINGS CORPORATION, Future Products Company (ყოფილი მფლობელი)
- 19. ბექა პაატაშვილი (01005005774) — Davor Holding Limited (მფლობელი)
- 20. კახაბერ ნინუა (01027004136) — Adprojects Inc. (საბჭოს წევრი), Iramar Holding Limited (POA)
- 21. ბიძინ ივანიშვილი (01015004952) — LYNDEN MANAGEMENT LTD. (მფლობელი)
- 22. თეიმურაზ გერსამია (01008004463) — Bexerton Ltd (მფლობელი)
- 23. კახა შარაბიძე (01025003923) — TECHNOS DEVELOPMENT INC. (დირექტორი)
- 24. რევაზ შარანგია (01009002573) — SILVERADO PROPERTIES INC (მფლობელი), STAMAR GLOBAL LTD. (წილის მფლობელი), TECHNOS DEVELOPMENT INC. (წილის მფლობელი)
- 25. ივანე ჩხარტიშვილი (01025003134) — GROBER COMMERCIAL CORP.; CLAREN VENTURES LTD. (წილის მფლობელი), SILVERADO PROPERTIES INC. (მფლობელი)
- 26. თეიმურაზ არონია (65002012439) — LEXOR CAPITAL CORP. (მფლობელი)
- 27. მიხეილ ჩხარტიშვილი (01025008423) — TECHNOS DEVELOPMENT INC. (დირექტორი), GROBER COMMERCIAL CORP. (დირექტორი).
- 28. ნათია ჩხარტიშვილი (01008013335) — GROBER COMMERCIAL CORP. (მფლობელი)
- 29. კობა ნაყოფია (01024003832) — Cuento Portfolio Corp. (POA)
- 30. ზვირაძე მაქაყარი (62005003653) — STAMAR GLOBAL LTD. (წილის

- მფლობელი)
- 31. ზაზა გოდელაშვილი (45 08 048632 რუსეთის ფედერაცია) — LINDOS INTERNATIONAL LTD. (წილის მფლობელი)
- 32. დავით ხიდაშელი (N9 0002554) — INFORMAP WORLDWIDE LIMITED -EX- HESDAN LIMITED (წილის მფლობელი)
- 33. ზაზა ქათამაძე (01017000944) — Georgia Rudomar S.A. (წილის მფლობელი)
- 34. მიხეილ გოგოლიძე (01024007596) — HARMON PREMIER LTD. (მფლობელი)
- 35. მიხეილ ლელაშვილი (01008006232) — PERSONAL ADVISERS & CO. (დირექტორი)
- 36. ლევან კაჭარავა (01008001436) — Garissa Ltd (მფლობელი)
- 37. გიორგი გაჩეჩილაძე (01008002195) — Garissa Ltd (მფლობელი)
- 38. გონა მგერელიძე (01008005707) — Garissa Ltd (მფლობელი)
- 39. ბორის თორდია (01026009821) — H.B.M Global LIMITED (წილის მფლობელი)
- 40. ლიანა კობიაშვილი (01020009494) — OOCO LTD., FOL TRADING CORP. (წილის მფლობელი)
- 41. ზაზა კვეციანი (12001023796) — WADEX INTERNATIONAL LIMITED (მფლობელი), OOCO LTD. (წილის მფლობელი)
- 42. გიორგი კვეციანი (01019030000) — OOCO LTD. (წილის მფლობელი)
- 43. შორენა გველესიანი (01017020120) — OOCO LTD., FOL TRADING CORP. (წილის მფლობელი)
- 44. კობა კვეციანი (01020008080) — OOCO LTD., FOL TRADING CORP. (წილის მფლობელი)
- 45. თეიმურაზ ქორქაშვილი (01009002521) — FOL TRADING CORP. (წილის მფლობელი)
- 46. თამაზ კირეულიშვილი (01024010761) — FOL TRADING CORP., DONROY COMPANY INCORPORATED (წილის მფლობელი)
- 47. თამაზ ჩახუტაშვილი (61001013225) — IILKLEY OVERSEAS LIMITED, BVI (წილის მფლობელი)

- 48. ზურაბ ნიჟარაძე (01031006223) — IILKLEY OVERSEAS LIMITED (წილის მფლობელი)
- 49. დავით იაკობაშვილი (81670851) — SOBBIA HOLDINGS CORPORATION; AXTON OVERSEAS DEVELOPMENT LTD. (მფლობელი)
- 50. თამაზ ჩხევიძე (01024003763) — GRUPO ALIMENTARE S.A. (მფლობელი)
- 51. გურამ მოქია (51N 3245829) — EDENVALE VENTURES LTD. (დირექტორი)
- 52. გიორგი ლაში (01008022951) — CLAREN VENTURES LTD. (დირექტორი)
- 53. თამაზ ნიჟარაძე (61002002686) — ELENCO HOLDINGS INC., DESTON COMPANY S.A. (POA)
- 54. გიორგი ექვთიშვილი (01001005554) — Rominvest Trading Corp. (POA)
- 55. ქეთევან ნაცვლიშვილი (01008016686) — Horizon Group limited, NDI Enterprises Limited — დირექტორი
- 56. გონა ხანდლიშვილი (01015006511) — SAMPOR GLOBAL CORP. (წილის მფლობელი)
- 57. პაატა ჩხევიძე (59001005137) — Rominvest Trading Corp. (POA)
- 58. ნიკოლოზ ასანიძე (59001009934) — MOOVEN INTERNATIONAL S.A., Velsan Trading Corp. (POA)
- 59. ვასილ ბიბილაშვილი (01031003582) — Axton Overseas Development Ltd, Davor Holding Limited (POA)
- 60. ზაზა ბიბილაშვილი (01008004613) — Axton Overseas Development Ltd, Davor Holding Limited (POA)
- 61. გიორგი სარაშვილი (01025016822) — Axton Overseas Development Ltd, Davor Holding Limited (POA)
- 62. ირაკლი კორახია (01009000775) — ARGOTRANS LIMITED (POA)
- 63. სოფიო როინიშვილი (01009017099) — ARGOTRANS LIMITED (POA)
- 64. დავით რაფაგა (62004004999) — Silk Road Group S.A. (10%-ს მფლობელი)
- 65. ალექსანდრე ლაცაბიძე (59001002247) — Rominvest Trading Corp. (POA)
- 66. გიორგი ქურდაძე (61001002353) —

- FELMARK TRADING INC. (POA)
- 67. მირიამ ჯავახიძე (01008015165) — NOWALL INVESTMENTS GLOBAL S.A., Dagmar Finance Group Inc. (POA)
- 68. ნიკოლოზ ქურდაძე (01024016063) — FELMARK TRADING INC. (POA)
- 69. რატი ლეჟანია (35001047484) — TERRAMAR ENERGY, TECHNOS DEVELOPMENT INC (დირექტორი)
- 70. ზაზა ქათამაძე (01017000944) — RUDOMAR S.A. (წილის მფლობელი)
- 71. თეიმურაზ კვეციანი (01006005260) — GENOVA MANAGEMENT LTD. (წილის მფლობელი)
- 72. ილია ცინცაძე (01026003466) — Deston Company S.A. (წარმომადგენელი)
- 73. ლევან ერუქიძე (01024007334) — Silk Road Group SA (POA)
- 74. ვაჟა კვუციანი (33001007906) — INTERDRILLINGSERVICE LTD (ადმინისტრატორი)
- 75. კახა დამენია (19001000498) — STAMAR GLOBAL LTD. (დირექტორი)
- 76. ნინო კიკვაძე (01010010491) — PONTOS ENERGY LIMITED (დირექტორი)
- 77. გიორგი კრაველიძე (03001002366) — LEXOR CAPITAL CORP. (POA)
- 78. რატი ჭელიძე (01019003831) — Petrocas Energy Management Limited, FPC Group (მრჩეველი)
- 79. ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (01030000826) — BLENVILLE REAL ESTATES LTD. (წილის მფლობელი)
- 80. ზაზა ლეჟანია (01018002057) — BETLEY PACIFIC LIMITED (წილის მფლობელი)
- 81. იოსებ მგელიძე (01017002665) — Sobbia Holdings Corporation (დირექტორი), Ryff Management S.A. (POA)
- 82. კობა საძაგლიშვილი (01009015290) — Smot Equites Corp. (POA)
- 83. დავით ბერაშვილი (62004011102) — SUPERLINE HOLDINGS LTD; B.V.I. (POA)
- 84. თეიმურაზ კვეციანი — GENOVA MANAGEMENT LTD. (წილის მფლობელი)
- 85. დავით კვციანი — BETLEY PACIFIC LIMITED (დირექტორი)